

მზექალა ჩანქსელიანი

მდინარე ველურას ხეობის მიკროტოპონიმია

2010 წლის სექტემბერში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მივლინებით ვიმყოფებოდი ლენტეხის რაიონში, კერძოდ, მდინარე ველურას ხეობის სოფლებში: ველედი, ჯაჩეში, ფაყი, სადაც ჩავიწერე მიკროტოპონიმები.<sup>1</sup> მასალა შეუსწავლეღია და ამ თვალსაზრისით სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. კვლევის ამ ეტაპზე მოტივაციის მიხედვით გამოვყავით მიკროტოპონიმთა რამდენიმე ჯგუფი:

ა. რელიეფის მიხედვით მოტივირებული მიკროტოპონიმები:

**ლოშკემე** — სოფ. ველედის ერთ-ერთი უბანი, რომელიც სოფლის ბოლოს მდებარეობს, **ლოშკემე** “უკანისა”; **ლოშკინ** “უკან”, **ემ** - “ისა”, ნათ. ბრ. ნიშანი (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000).

**სკიმერ** — საიალალო მთა (სოფ. ჯაჩეშთან ახლოს); აქ უხვად მიაპოვება მჟავე წყლები. **სგიმ** “ვეძა, მჟავე წყალი”,

**ზაგალდწე** — ქედის სახელია (სოფ. ველედი), **ზაგარ** “ზეგანი, ქედი, გადასასვლელი”, **-წე** - ნათ. ბრ. ნიშანი.

**სტიფ** — ამადლებული და სცენის მაგვარი ადგილი (სოფ. ჯაჩეში). **სტიფ** “სასოფლო მოედანი, ხალხის შესაკრები ადგილი, საფიხვნო”.

**ჯაცქალა** — მრუდე ქალა (სოფ. ჯაჩეში). ადგილს მრუდე, დახრილი ფორმა აქვს.

**ტებაანაკ** — ტბიანი ვაკე (სოფ. ჯაჩეში), ადგილი მთაში მოვაკებულ ადგილასაა, სადაც აგრეთვე არის ტბაც, **ტუბან**, **ტება** “ტბა, ტბორი, ჭაობი”, **ნაკ** “ვაკე”.

**ჯარჯგლდ** — მომცრო ქედის სახელია, რომელიც ვიზუალურად ძალიან ჰგავს ნადირის ხახას (სოფ. ველედი), **ჯარჯ** “ხახა, პირი”; **-გლდ** - კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსი.

**ტუბიარე ლაყლულა** — ხევების გამყოფი (სოფ. ველედი), **ტუბი-** “ხევი”, **-არ** - მრ. რიცხვის სუფიქსი, **ლაყლულა** - “გამყოფი”. ადგილი მართლაც ყოფს სხვადასხვა ხევს ერთმანეთისაგან.

**წგრანი ქუწნარ** — წითელი კლდეები (სოფ. ველედი), **წგრანი** “წითელი”, **ქუწნ** “ჭიუხი, კლდოვანი ადგილი”, აქ კლდე ბუნებრივად წითელი ფერისაა.

**გუალგლდარ** — ბოსლები, ადგილი მთაში (სოფ. ველედთან). **გუალ** “ბოსელი”, **-გლდ** კნინობითობის სუფიქსი. ადგილი ვიზუალურად ძალიან გავს

<sup>1</sup> ჩვენი ინფორმატორები იყვნენ: ნელი გაზდელიანი (51 წლის, სოფ. ველედი), სადიკო ქარდავა (70 წლის, სოფ. ველედი), ანზორ ჩანქსელიანი (60 წლის, სოფ. ჯაჩეში), გელა ჩანქსელიანი (78 წლის, სოფ. ფაყი), დენოლა ჩანქსელიანი (79 წლის, სოფ. ველედი), ნინო ჩანქსელიანი (50 წლის, სოფ. ველედი).

საქონლის სადგომს. ამ ადგილზე შერევილ საქონელს რომ შევხედოთ, ვიფიქრებთ, დაუბამთო.

**აწოლირ** — მთის სახელია (სოფ. ჯელედი). ეს მთა კარგად ჩანს ლენტეხიდანაც. **აწოლ** “ზვინი“, მას მართლაც ზვინის ფორმა აქვს.

**ლგცქუეირ** — მთაში ერთი ადგილის სახელია, სადაც ძალიან ცივი წყალია (სოფ. ფაყი); სიტყვასიტყვით: წყალი ცივი (**ლგც** “წყალი“, **ქუეირ** “ცივი“).

**ნაჟაჟა ღარ** — ნაზვავი ღარი, ადგილი მთაშია (სოფ. ჯელედი), **ჟა** “ზვავი“, **ღარ** “ღარი“.

**ხოშა ლახუღღ** — დიდი მთა (სოფ. ჯელედი). **ხოშა** “უფროსი, დიდი“, **ლახუ** “მთა“, **ღღ** - კნინობითობი სუფიქსი.

**ნესკაა ლახუღღ** — შუა მთა (სოფ. ჯელედი). **ნესკა** “შუა, შუაში, შორის“.

**ნაჩუალაურ** — ადგილის სახელია (სოფ. ჯელედი). **ჩუალ** “მეწყერი, ნამეწყრალი“, **ნა-ურ** - წინა ვითარების აღმნიშვნელი კონფიქსი.

**ჟიბე მოლ** — ზედა მოლი, ახო (სოფ. ჯელედი). **ჟიბე** “ზედა“.

**შიხაშ** — მთის მოვაკებული კალთის სახელია, სადაც ადრე ტყე გადაუწვავთ და დაუშუშავებიათ (სოფ. ჯელედი). **შიხა** “დაწვა“.

#### **ბ. მიკროტოპონიმები კუთვნილების მიხედვით:**

**სიმონაშა** — უბანი, სადაც სიმონას შტო ცხოვრობდა (სოფ. ფაყი).

**გონიერა მოლ** — გონიერის შტოს საკუთრებაში შემავალი ადგილი, მოლი (სოფ. ჯელედი).

**გიგოა მოლ** — გიგოს მოლი (სოფ. ჯელედი).

**მოსეა მოლ** — მოსეს მოლი (სოფ. ჯელედი).

**ხუთაშა მოლ** — ხუთას შტოს კუთვნილი მოლი (სოფ. ჯაჩეში).

**მიქელშერ** — უბანი, სადაც მიქელის შტო ცხოვრობდა (სოფ. ფაყი).

**ჯანყვათაშა მოლ** — ჯანყვათის შტოს მოლი (სოფ. ჯელედი, სოფ. ჯაჩეში).

**მათეანლაგან** — მთაში ადგილს ქვია (სოფ. ჯელედი), ინფორმატორის თქმით, ამ ადგილას უხსოვარ დროს კაცს, სახელად მათეს უცხოვრია; სახელწოდებაც აქედან მოდის. **ნალაგან/ნალაგან** “ღამენათევი“ ანუ მათეს ღამენათევი.

**ლადაჟარი** — სადევე (სოფ. ფაყი). გადმოცემით, ამ ადგილას დევებს უცხოვრიათ.

#### **გ. მცენარეების სახელებიდან მომდინარე მიკროტოპონიმები:**

**ლეწფან** — წიფლნარი; მაღალი ადგილია მოშორებული საცხოვრებელი პუნქტიდან (სოფ. ფაყი), **წიფ** “წიფელი“, **ლე-** — მატოპონიმებელი პრეფიქსი.

**ლეშტიხ** — სათხილე (სოფ. ფაყი). **შტიხ** “თხილი“.

**ლეჟცხარ** — სამსხალე (სოფ. ფაყი). **ჟიცხ** “მსხალი“.

**ლეუსკუარ** — სავაშლე (სოფ. ფაყი). **უსგუ/უსისკუ** “ვაშლი“.

**ნაფატუ** — ნაფეტვარი (სოფ. ჯელედი). ინფორმატორის თქმით, ამ ადგილას ადრე ფეტვი მოჰყავდათ, რადგანაც ფეტვის მოსაყვანად შესაფერისი ადგილი მხოლოდ აქ იყო, **ფატუ** “ფეტვი“.

**ლემერხელიდ** — საჭინჭრე (სოფ. ჯაჩეში), **მერხელ** “ჭინჭარი“.

**ლაანალი** — საჟოლოე (სოფ. ჯელედი), **ინალი** “ჟოლო“.

**ლეგანჭუ** — საანწლე (სოფ. ჯაჩეში), **განჭუ** “ანწლი“.

**ლეჩხუელი** — სადიყე (სოფ. ჯაჩეში), **ჩიჩუა** “დიყი”.  
**ლაღეფ** - საღუცე (სოფ. ჯაჩეში), **ლე** “ღუცი, მცენარე, მხოლოდ ჭიუხებში ხარობს, ვარგისია საჭმელად”  
**ლაბურღუ** — საბუერე (სოფ. ჯაჩეში), **ბურღუ** “ბუერა, მცენარე, საჭმელად ვარგისი”.  
**იფვალღე** — გვიმნარი (სოფ. ჯაჩეში), **იფხ** “გვიმრა”  
**ცხუმალღე** — რცხილნარი (სოფ. ჯაჩეში), **ცხტიმ** “რცხილა”.

**დ. რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები:**  
**ჯგერაგი ნაკ** — წმინდა გიორგის ვაკე, სოფლიდან მოშორებით ფერდობის სახელია (სოფ. ჯელედი). ინფორმატორის თქმით, შესაძლოა, ამ ადგილას ადრე ეკლესიაც ყოფილიყო. **ჯგერაგ** “წმინდა გიორგი”, **ნაკ** “ვაკე”.

**მაცხტარიშ** — მაცხოვრისა (სოფ. ჯაჩეში); ივარაუდება, რომ აქაც შესაძლოა ეკლესია ყოფილიყო, **მაცხტარ** “მაცხოვარი”.

**იერუშალიმ** — იერუსალიმი; ადგილის სახელია (სოფ. ფაყი). გადმოცემით, ეს ადგილი იერუსალიმისთვის მიუმსგავსებიათ და სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს.

**ქრისტეჯორა ჭვშხე ნაგამ** — ქრისტეს ჯორის ფეხდანადგმელი; ადგილია სოფ. ფაყში.

**ლერსკუენ ლასპენარ** — მარჯვნივ მოსაბრუნებელი, გზის სახელია, რომლითაც მთაში აღინარ (სოფ. ჯელედი). არსებობდა რწმენა, რომ ამ გზას როგორც კი დაადგებოდი, აუცილებელი იყო პირჯვრის გადასახვა და მარჯვნივ შემობრუნება. **ლერსკუენ** “მარჯვნივ”, **ლასპენარ** “მოსაბრუნებელი”.

**თაშლამეზერ** — საქონლის საძოვარი ფერდობის სახელია (სოფ. ჯაჩეში.), სიტყვასიტყვით ნიშნავს: ყველის სალოცავი. ინფორმატორის თქმით, აქ სუფთა ბალახი ამოდის, ყოველგვარი სარეველას გარეშე, ამოყვანილი ყველიც ისეთივე სუფთაა და შესაფერისია სალოცავი პურის - ლემეზირისთვის. **თაშ** “ყველი”, **ლამეზერ** “სალოცავი”.

**უტეხურია** — მოუბრუნებელი; უდაბურ ტყეს ქვია (სოფ. ჯაჩეში). ადგილობრივების თქმით, ტყე საშიშ ადგილად ითვლებოდა, საიდანაც უკან ვერავენ ბრუნდებოდა. **-უა** - უარყოფითობის გამომხატველი კონფიქსი, **-ურ** - უქონლობის სუფიქსი,

წარმოდგენილ კლასიფიკაციაში ვერ მოხვდა ის მიკროტოპონიმები, რომელთა მოტივაცია ბუნდოვანია, მაგალითად: **ჯულიშ**, **ბალღიშ**, **ჯურაშტილ**, **ღერკაშ**, **მენიაშ**, **ჩამფანა**, **ღემაყა**, **ბიჭულდ**, **ისგნღერ**, **ცაიდერ**...

#### დამოწმებული ლიტერატურა

დ. ბაკურაძე, ტ. ფუტყარაძე - ტოპონიმთა კლასიფიკაცია, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. I, ქუთაისი, 1995.

ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000 - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, □სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

პ. ცხადაია, 2005 - პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005.

## MZEKALA CHANKSELIANI

### MICROTOPONYMS OF THE BELADURA RIVER VALLEY

In September, 2010, I recorded place-names in some villages of the Lentekhi Region, namely, in the villages along the Beladura valley. The material has not yet been duly studied and it awaits its further processing and investigation. At the present stage of the research I have identified some groups of the microtoponyms on the basis of the related motivations.

These are grouped according to:

- a. **Relief:** Atsolir, Ghoshkmes, Skimer, Shikhash...
- b. **Ownership:** Goniersha mol, Khutsha mol, Mikelsher...
- c. **Relation to plants:** Laghei, Lemerkhelid, Leshtikh...
- d. **Rites and beliefs:** Ierushalim, Matskhvarish, Utekhuria...

Those micro-place names whose motivations were ambiguous have not been included in the list. As for example: Baldish, Bichuld, Champana, Tsaider...